პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 233 (11237) | ოთხშაბათი, 8 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციის მონაწილეებისადმი

ტაშკენტი

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით მხურვალედ მივესალმები აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც ტაშკენტში შეიკრიბა.

პროგრესული კაცობრიობა დიდად აფასებს აზიისა და აფრიკის მწერლების აქტიურ როლს იმპერიალისტ კოლონიზატორთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში და ქმედით მონაწილეობას იმ ქვეყნების ახალი ცხოვრების მშენებლობაში, რომლებმაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენცია ხამსახურს გაუწევს ყველა ქვეყნის სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებას, რომლებიც ავითარებენ თანამშრომლობას ბანდუნგის პრინციპების საფუძველზე. [illegible] მწერლების შეხვედრა კონფერენციაზე ხელს შეუწყობს [illegible] ლიტერატურის წარმატებით განვითარებას, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ურთიერთკავშირის გაფართოებასა და განმტკიცებას.

ვუსურვებ წარმატებით მუშაობას კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც მოწოდებულია ხამსახური გაუწიოს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, აფრიკა-აზიის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

ნ. ხრუშჩოვი.

1958 წ. 7 ოქტომბერი.

## საკვების დამზადებას შეუნელებელი ყურადღება

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყოველდღიურად ახალ გამარჯვებებს აღწევს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი აზვირთება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. ისინი დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან სოციალისტურ ვალდებულებათა განხორციელებისათვის.

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული პირუტყვის გამოზამთრებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ბედი.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვის კარგ მაგალითს გვიჩვენებენ წელს გურჯაანის რაიონში. ამ რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ოქტომბრისათვის 96 პროცენტით შეასრულეს უხეში საკვების დაგროვების გეგმა და გადაჭარბებით გაანაღდეს სილოსის ჩადების დავალება. გურჯაანელები ახლა საკვებს ასილოსებენ ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში. საკვების დაგროვების საქმეში კარგად მუშაობენ აგრეთვე ქარელის, ასპინძის, ცხაკაიას, მცხეთის, ხაშურის რაიონები.

როგორც ცნობილია, წელს საგარეჯოს რაიონის მშრომელები გამოვიდნენ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. საგარეჯოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სილოსის ჩადების დავალება და ყველაფერს აკეთებენ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად. აღსანიშნავია, რომ რაიონის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა და მათ რიცხვში საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველო“ საკვების დამზადების დარგში სანიმუშოდ მუშაობს. ეს საქმე კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია. საკვების დამზადების მიმდინარეობის საკითხს სისტემატურად განიხილავენ პარტიულ კრებებზე და ენერგიულად იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა აუცილებლივ შესრულებისათვის. აქ საქმე ისე მოაწყეს, რომ უკვე 27 სექტემბრისათვის სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — თვითეულ ძროხაზე ჩადეს 25 ტონა სილოსი.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში სათანადოდ არ იბრძვიან საკვები ბაზის განმტკიცებისათვის და არ ითვალისწინებენ, თუ როგორი არასახარბიელო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. ეს ითქმის, მაგალითად, ლენინგორის რაიონის ლარგვისის კოლმეურნეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აქ თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია ბევრად ნაკლები რძე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება ბედის ანაბარად არის მიტოვებული. დიდად ჩამორჩება სილოსის ჩადება, ხოლო მთებში დაგროვებული თივა ფერმებთან არ არის მიზიდული. კოლმეურნეობაში ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, პარტიული ორგანიზაცია, ლარგვისელი კომუნისტები რომ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. საქმე ის არის, რომ აქ წლების მანძილზე მიეჩვივნენ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობას. მეცხოველეთა შორის სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მსგავსი მდგომარეობაა ამ რაიონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს არ განამტკიცებენ საჭირო ორგანიზატორული მუშაობით, სუსტად ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას.

სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებით წელს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს ორი მილიონი ტონა სილოსი. მოწინავე კოლმეურნეობები გადაჭარბებით ასრულებენ საკვების დასილოსების დავალებებს, მაგრამ ზოგან ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ამ საქმეში თიანეთის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის რაიონები, რომლებსაც გეგმები სანახევროდაც არ შეუსრულებიათ, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ დამატებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაზე.

ოქტომბრიდან ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით უნდა ჩატარდეს, საჭიროა დაისახოს საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის, კერძოდ, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ზრუნვას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. შეჯიბრების ორგანიზაციას საფუძვლად უნდა დავუდოთ ლენინური პრინციპები: **საჯაროობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვალსაჩინო აგიტაციას და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებას, პირუტყვისათვის უხვი, ნოყიერი და მრავალფეროვანი საკვების დამზადებას.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ე. ჯონსტონი

**სოჭი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დღეს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კინომრეწველობის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი ბ-ნი ერიკ ჯონსტონი მისი თხოვნით და ხანგრძლივი არაოფიციალური საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ე. ჯონსტონს გააცნო თავისი ოჯახის წევრები და მათ ერთად ისადილეს.

## სსრ კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის ურთიერთობის გამო

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს მიმართა წინადადებით, რომ ორ ქვეყანას შორის დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა.

კ. ე. ვოროშილოვმა საპასუხო დეპეშაში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობს გვინეის რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი. საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით კ. ე. ვოროშილოვმა გვინეის ხალხებს უსურვა წარმატება მათი სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. (საქდესი).

## ერთობლივი კომუნიკე

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის ავღანეთში ყოფნის შესახებ

ავღანეთის მეფის მისი უდიდებულესობის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი 1958 წლის 1-6 ოქტომბერს (1337 წლის 9-14 მიზანს) საპასუხო მეგობრული ვიზიტით იყო ავღანეთში.

ავღანეთში მოგზაურობისას კ. ე. ვოროშილოვს ახლდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. უ. უმაროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრი დ. დ. დეგტიარი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ნ. ნ. დანილოვი. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. პ. პავლოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ქაბულში ჩასვლისას კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს და გვირგვინით შეამკეს მისი უდიდებულესობის ავღანეთის განსვენებული მეფის მუჰამედ ნადირ შაჰის აკლდამა.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ ავღანეთის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, შეხვდნენ ავღანეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს „გაზის“ სტადიონზე, სადაც კ. ე. ვოროშილოვმა საბჭოთა ხალხის ძმური სალამი გადასცა ავღანელ ხალხს, მათ შორის ქაბულის მცხოვრებლებს, რომლებიც გულწრფელად მიესალმნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ სპორტულ დღესასწაულს იმავე სტადიონზე, ეწვივნენ სახალხო საბჭოს, აგრეთვე ქალაქ ქაბულის სამრეწველო საწარმოებსა და კულტურულ დაწესებულებებს და დაესწრნენ ავღანეთის ჯარის ნაწილების ტაქტიკურ სწავლებას. საბჭოთა სტუმრებს ყველგან გულთბილად და გულითადად ხვდებოდნენ ავღანეთის ოფიციალური პირები და მოსახლეობა.

ავღანეთში ყოფნის დროს კ. ე. ვოროშილოვს მეგობრული შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ავღანეთის მეფესთან მის უდიდებულესობასთან მუჰამედ ზაჰირ შაჰთან.

კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანმხლებ პირებს — ნ. ა. მუხიტდინოვსა და სხვებს — ჰქონდათ აგრეთვე მეგობრული შეხვედრები და საუბრები ავღანეთის პრემიერ-მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, სახალხო საბჭოს თავმჯდომარესთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან.

კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების შეხვედრები და საუბრები ავღანეთის მეფესთან მის უდიდებულესობასთან მუჰამედ ზაჰირ შაჰთან და ავღანეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან მიმდინარეობდა გულითადობისა და ღრმა ურთიერთგაგების ვითარებაში.

ამ შეხვედრებსა და საუბრებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი და ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქიმ შაჰალამი.

მხარეებმა აღნიშნეს დადებითი მიღწევები საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის დარგში და გამოთქვეს რწმენა, რომ შესაბამისი ურთიერთობა, აგრეთვე ორივე ქვეყნის კულტურული ურთიერთობა კვლავაც წარმატებით განვითარდება.

შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებსაც მეგობრული, გულითადი ხასიათი ჰქონდათ, მოხდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ამასთან კვლავ აღინიშნა, რომ ორივე ქვეყნის პოზიციები ამ საკითხებში, რაც ემყარება ბანდუნგისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, მახლობელია და ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს.

ორივე მხარე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ავღანეთში კ. ე. ვოროშილოვისა და მისი თანმხლები პირების ყოფნამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა, რაც სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური სისტემის ქვეყნების წარმატებით თანამშრომლობის მაგალითია.

ორივე მხარე გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ხელს შეუწყობს მშვიდობისა და უშიშროების საქმის შემდგომ განმტკიცებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონსა და მთელ მსოფლიოში.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**კ. ე. ვოროშილოვი**

**ავღანეთის მეფე**
**მუჰამედ ზაჰირ შაჰი**

ქაბული, 1958 წლის 6 ოქტომბერი (1337 წლის 14 მიზანი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი სტალინაბადში ჩამოვიდა

**სტალინაბადი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ქაბულიდან ტაჯიკეთის დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რომელიც მეგობრულ ავღანეთში კეთილი ნების ვიზიტით მოგზაურობიდან ბრუნდება.

დილით სადღესასწაულოდ მორთულ აეროდრომზე და ახლომახლო ქუჩებში კ. ე. ვოროშილოვს შეხვდა ქალაქის ათასობით მშრომელი. შემხვედრთა შორის იყვნენ ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რახმატოვი, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დოდხუდოევი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ს. ობნოსოვი, ნ. ზ. ზარიპოვა, სსრ კავშირისა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, რესპუბლიკური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები.

თვითმფრინავი ჩერდება აეროვაგზალთან. იქიდან ჩამოდის კ. ე. ვოროშილოვი, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ბავშვებმა მას ყვავილები მიართვეს.

მოკლე სიტყვაში კ. ე. ვოროშილოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის, მიესალმა ტაჯიკეთის მშრომელებს და შემდგომი წარმატებანი უსურვა მათ კომუნისტურ მშენებლობაში.

მთელ გზაზე აეროდრომიდან ქალაქამდე კ. ე. ვოროშილოვს მხურვალედ მიესალმებოდა ტაჯიკეთის დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ტაჯიკეთის ს. აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრო ტაჯიკეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

## პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად

★ ★

### ერთი კოლმეურნეობის სახელოვანი მეჩაიეები

დილის 7 საათი იყო, როცა ლილი კემულარია ხობის რაიონის ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ფართობში ენახეთ, რომელსაც იგი უვლის. მის გვერდით მუშაობდნენ მოწინავე მკრეფავები მადარი ქიშკარიანი, ნაზი ხულორდავა, მერი ადამია და მარგო მალანია. ამ მოწინავე ადამიანების შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კემულარიამ გვიამბო:

— წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ გეგმით 375 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა ჩააბაროს მრეწველობას. ეს დავალება 1 სექტემბრისათვის პირნათლად შევასრულეთ. დადგნენ რა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე, მეჩაიეებმა იკისრეს სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 50 ათასი კილოგრამი ნედლეული.

ამჟამად კოლმეურნეობას ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 30 ტონაზე მეტი ჩაი. ამ წარმატებაში დიდია მოწინავე მეჩაიეთა წვლილი. ქების ღირსია ლილი კემულარია. ამ წარჩინებულ მეჩაიეს 0,4 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან დღემდე მოკრეფილი აქვს 4.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. ლ. კემულარიას ვალდებულება მოკრიფოს 5 ათასი კილოგრამი ჩაი და ამით თავისი საჩუქარი მიუძღვნას მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობას.

ეს მოწინავე მეჩაიე 1952 წლიდან მუშაობს ჩაის პლანტაციაში. ჩაის უხვი მოსავლის მოყვანა მან შეისწავლა ხობის რაიონის სახელოვანი მეჩაიეების ქს. კევალიშვილის, მ. ქიშკარიანის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჯ. ოკუჯავას მაგალითზე.



ლილი კემულარია.

• • •

სახელოვანი მეჩაიე დღიურად 50-60 კილოგრამ ფოთოლს კრეფს, გეგმა კი 20 კილოგრამის მოკრეფას ითვალისწინებს.

ვ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## აფხაზეთმა შეასრულა თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა

აფხაზეთის მეთამბაქოეებმა, გააჩაღეს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, 5 ოქტომბრისათვის 102,1 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს მოსავლის აღების წლიური გეგმა.

თამბაქოს მოსავლის აღება გრძელდება. (საქდესი).

## ცაგერის რაიონმა შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 4 ოქტომბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

## კომუნისტები — პირველ რიგებში

იმ ღირსშესანიშნავ დღეებში, როდესაც მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო სასიხარულო ამბავი პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ, თბილისის კიროვის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივი ლაიპციგის მეტალურგიული ქარხნის შეკვეთის „ტტ-40“ ჩარხის აწყობაზე მუშაობდა.

პარტბიუროს სამუშაო ოთახში ადრიანად შეიკრიბა პარტიული აქტივი — პარტბიუროს წევრები, საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პარტჯგუფორგები.

— ყველა თქვენგანმა უთუოდ იცის, — დაიწყო პარტბიუროს მდივანმა ლ. გოგიჩაძემ, — ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

— ცხადია, ვიცით, ამის შესახებ მთელი ქარხანა ლაპარაკობს. ეს ამბავი უკვე იციან ჩვენი სამშობლოს შორეულ კუთხეშიც კი! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ჩვენ დიდი მნიშვნელობის ამბების წინაშე ვდგავართ, — განაგრძო მდივანმა, — ჩვენი ქარხნის საქმიანობაში ახალი ეტაპი იწყება. უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ პირნათლად შევხვდეთ მშობლიური პარტიის ყრილობას! როგორც ყოველთვის, ახლაც კომუნისტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში საწარმოს კოლექტივის მთელ საქმიანობას.

თათბირზე კომუნისტებმა კონკრეტული წინადადებანი წამოაყენეს, ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ გაეშალათ ახსნაგანმარტებითი მუშაობა წლიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

მალე ქარხნის ტერიტორიაზე გაჩნდა ლოზუნგები: „ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას!“, „რით ხვდები შენ პარტიის XXI ყრილობას?“. გამოვიდა „ელვის“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი პარტიის XXI ყრილობისათვის მზადებისადმი. დამატებით გამოიყო აგიტატორები. ახლა ქარხანაში 50-ზე მეტი აგიტატორი ეწევა ახსნაგანმარტებით მუშაობას. თავისი მართალი, ბოლშევიკური აგიტაციით მშრომელთა სიყვარული დაიმსახურა მეორე საამქროს ბრიგადირმა, აგიტატორმა ლ. ლაფანაშვილმა.

რამდენიმე წლის წინათ, პარტიის XX ყრილობამდე, ქარხნის პროდუქციას ზოგიერთი ნაკლი ჰქონდა. მაშინ ქარხანა სერიულად უშვებდა ისეთ ჩარხს, რომლის ბრუნვათა რიცხვი 750-ს არ აღემატებოდა.

XX ყრილობის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ქარხნის ცხოვრებაში. მთელი ტექნიკური აზრი მიმართულ იქნა იქითკენ, რომ სრულეყოთ ტექნოლოგიური პროცესი.

მალე ქარხანამ სერიული გამოშვებისათვის მიიღო უნივერსალური ხრახნსაჭრელი სახარატო ჩარხის პროექტი. ახლა გაუმჯობესებული ჩარხების ბრუნვათა რიცხვი 1.250-ს აღემატება. დღის წესრიგში დადგა ახალი ჩარხის ათვისებისა და მისი წარმოებაში სწრაფად დანერგვის საკითხი. ამ საქმისათვის იბრძვის ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივი. აღსანიშნავია კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსის, კომუნისტ პ. აბესაძის და მთავარი კონსტრუქტორების ლ. კულიკოვის, თ. დმიტრიევას, აგრეთვე გ. ლეჟავას, გ. ლურჯუმელიას საქმიანობა.

შეიქმნა ახალი ტექნიკური ხაზები, შესწორდა ზოგიერთი რამ ქარხნის პირობების მიხედვით და ახლა საწარმო სერიულად თვეში ათობით უნივერსალურ ჩარხს უშვებს.

საწარმოს მრავალათასოვანი კოლექტივი დიდხანს ფიქრობდა და მუშაობდა თავისი შვიდწლიანი გეგმის შედგენაზე. ძვირფასი წინადადებანი წამოაყენეს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ეს წინადადებანი საფუძვლად დაედო ქარხნის შვიდწლიან გეგმას. ბოლოს საკითხი განხილულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. გადაწყდა: განხორციელდეს ქარხნის რეკონსტრუქცია და 1965 წლისათვის ჩარხების გამოშვება მნიშვნელოვნად გადიდდეს; პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 41 პროცენტით; ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს 35 პროცენტით; აშენდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

ამ გეგმაში გამოხატულია ჰპოვა მუშათა ფიქრებმა და მისწრაფებებმა და მის შესასრულებლად ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. როგორც ყოველთვის, ახლაც შეჯიბრებას კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში. მოწინავეთა პირველ რიგებში მიდიან კომუნისტები — ხარატები პ. ტენიშევი, ი. უკლოვი, ზ. გველუკაშვილი, მ. ასტახოვი, მრანდავე ბ. ჩიტაიშვილი, ზეინკალი ა. ჩაბანზადე და მრავალი სხვ.

წელს ქარხანამ აითვისა 7 ახალი ჩარხის წარმოება, მათ შორის ნახევრად ავტომატი სახარატო ჩარხისა, რომლის დახმარებით წარმოებს დეტალის მთლიანი სახარატო დამუშავება. ასეთ ჩარხებს წარმატებით იყენებენ ნავთის მრეწველობაში.

საგრძნობლად გაიზარდა ქარხნის საწარმოო ფართობი. აშენდა ახალი კორპუსი, რომელშიც ასობით ჩარხი დაიდგმება. ქარხნის ძველ საამქროში დაიდგა ახალი, გაუმჯობესებული ტიპის დანადგარები. გამწვანდა და გალამაზდა ქარხნის ტერიტორია. მკვეთრად გაიზარდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. ახლახან დამთავრდა 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება, რომელიც ქარხნის მუშებმა საკუთარი სახსრებით ააშენეს.

ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება პარტიის XXI ყრილობისათვის, ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ქარხანაში.

— მე აგიტატორი ვარ, — ამბობს მეხუთე საამქროს მჩარხავი გ. ლავთაძე. — ხშირად ვესაუბრები ამხანაგებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამჟამად ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ როგორ შევხვდეთ პარტიის XXI ყრილობას. პირადად მე ვიკისრე 200 პროცენტით შევასრულო ყოველთვიური დავალება.

ასეთივე გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს კომუნისტებმა — ხარატებმა ა. აგაჯანოვმა, ვ. ფირუმოვმა, კომკავშირელმა რ. მამუცაშვილმა და სხვებმა.

ასობით მშრომელთა ვალდებულებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა საერთო-საქარხნო სოციალისტური ვალდებულებანი XXI ყრილობის შესახვედრად. კიროველებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს — ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

აი ამ ვალდებულებათა ზოგიერთი მუხლი: 20 დეკემბრისათვის შეასრულონ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა; გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათობით ლითონსაჭრელი ჩარხი; გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 12 პროცენტით; ორ მილიონამდე გაზარდონ ზეგეგმითი მოგება; წლის განმავლობაში აითვისონ ჩარხების 9 ახალი მოდელი; ყველა ღონისძიება მიიღონ იმისათვის, რომ მკვეთრად გააუმჯობესონ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

პარტიული ორგანიზაცია ყოველმხრივ უჭერს მხარს მუშათა აქტივობასა და ინიციატივას, ყველა პირობას ქმნის შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. პარტბიურო ამისათვის უნარიანად იყენებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმას. ქარხნის აგიტატორები ღრმად და გასაგებად უხსნიან მშრომელებს პარტიის XXI ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას.

ქარხანაში დღედაღამ არ წყდება დაძაბული შემოქმედებითი შრომა. საწარმოს მრავალრიცხოვან კოლექტივს ამ დღეებში მხოლოდ ერთი აზრი ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს: ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდეს მშობლიური პარტიის XXI ყრილობას.

მ. ვარდოსანიძე.

## ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

# ერთი საამქროს პარტიული ჯგუფი

[illegible] შესამჩნევ წარმატებებს აღწევს ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის სანდალეტების საამქრო, რომელიც მოწინავეა მთელ საწარმოში. საამქროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ცხრა თვის დავალება.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია საამქროს პარტიული ჯგუფის წვლილი.

პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელსაც ჯგუფში გაერთიანებული ყველა ცხრა კომუნისტი დაესწრო, საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტჯგუფორგანიზატორი ო. ახალაძე.

როგორც პარტჯგუფორგმა აღნიშნა, საამქროში მაღალია კომუნისტების ავანგარდული როლი. № 3 ბრიგადას, რომელსაც კომუნისტი ი. ფანცხავა ხელმძღვანელობს, „საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ბრიგადის" საპატიო წოდება მიენიჭა. პირადად ბრიგადირი, აგრეთვე პარტჯგუფში გაერთიანებული დანარჩენი კომუნისტები ჯ. ოქროპირიძე, თ. კუპრაძე, ლ. დიხამინჯია, შ. კიკვიძე, მ. სილივანოვა და ლ. კიკვიძე ცვლაში ორ-ორნახევარ ნორმას იძლევიან და უპარტიო მუშებს მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს უჩვენებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საამქროში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც გადამეტებით არ ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიული ჯგუფი ხშირად მსჯელობდა შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების კულტურის ამაღლების, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების დონის ამაღლების საკითხებზე.

ერთხანს საამქრო რიტმულად ვერ მუშაობდა, გახშირდა ხარისხის გაუარესების შემთხვევებიც. ეს კი ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ საპირისა და საძირის დამამზადებელი საამქროებიდან ზოგჯერ წუნდებულ ნახევარფაბრიკატებს ვიღებდით. გადავწყვიტეთ ეს საკითხი პარტჯგუფის კრებაზე განგვეხილა. ამ კრებაზე, როგორც თქვენ იცით, — მიმართა მომხსენებელმა საანგარიშო-საარჩევნო კრების მონაწილეებს, — [illegible] მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის. მართლაც, განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა სწრაფად გამოსწორდა. თუ სექტემბრის პირველ ნახევარში პირველი ხარისხის პროდუქცია 78-79 პროცენტს არ აღემატებოდა, მეორე ნახევარში ჩვენი საამქროს კოლექტივმა ეს მაჩვენებელი 85 პროცენტამდე აიყვანა.

შეეხო რა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს, პარტჯგუფორგმა აღნიშნა, რომ საამქროში ცუდად არ არის დაყენებული პოლიტიკური სწავლება. სამი კომუნისტი გაერთიანებულია მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში, ოთხი — მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეში, ერთი დამოუკიდებლად მუშაობს წიგნზე, ხოლო ერთიც მსუბუქი მრეწველობის დაუსწრებელი ტექნიკუმის მეოთხე კურსზეა.

საანგარიშო მოხსენება საკმაოდ თვითკრიტიკული იყო. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არის შრომის დისციპლინის დარღვევისა და მანქანა-დანადგარების მოცდენის შემთხვევები, შეჯიბრების მონაწილეებს დროულად ვერ აცნობენ შედეგებს. ორ კომუნისტს მიცემული არა აქვს შესაფერი პარტიული დავალება.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა საამქროს უფროსმა გ. კიკვიძემ ილაპარაკა მანქანა-დანადგარების მოვლის გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლების საკითხებზე. მკერავმა ლ. დიხამინჯიამ გააკრიტიკა ცვლის მექანიკოსები, რომელთა დაუდევრობით ზოგჯერ მანქანები ცდება. მანვე აღნიშნა, რომ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხები აქამდე არ გამხდარა პარტჯგუფის მსჯელობის საგნად. კომუნისტმა ლ. კიკვიძემ წამოაყენა წინადადება, რომ საამქროს კედლის გაზეთი თვეში ორჯერ მაინც გამოდიოდეს.

კრებამ, რომელიც კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩატარდა, ფარული კენჭისყრით სანდალეტების საამქროს პარტჯგუფორგად მესამედ აირჩია ინიციატივიანი და უნარიანი კომუნისტი, მოწინავე მექანიკოსი ო. ახალაძე.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## შვიდსაათიან სამუშაო დღეზე

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადავიდა.

სადგურის მართვის კომპლექსური ავტომატიზაციის მოწყობით უზრუნველყოფილია საწარმოო დავალების შემოკლებულ სამუშაო დღეში შესრულება. (საკ. კორ.).

## კომკავშირის მე-40 წლისთავის შესახვედრად



ახალი თბომავალი — „ბორის ძნელაძე" — ზღვაში გავიდა.
ფოტო ა. აბულაძისა.

• • •

## თბომავალი „ბორის ძნელაძე"

ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანაში საზეიმო ვითარებაში გადაცემულ იქნა საექსპლოატაციოდ სამგზავრო თბომავალი, რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის — ბორის ძნელაძის სახელი.

თოვლივით თეთრი, ლამაზი თბომავალი „ბორის ძნელაძე" ქალაქ ბათუმის ახალგაზრდობის საჩუქარია ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის სახელოვანი იუბილესათვის.

## სახელოვანი გზა

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლენინური კომკავშირის სახელოვანი მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. იგი შედგება შვიდი განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში „ოქტომბრის შობილნი" ექსპონირებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ, კომკავშირის წესდება, კომკავშირის ყრილობების ანგარიშები და სხვ.

შემდეგ განყოფილებებში ნაჩვენებია კომკავშირი სამოქალაქო ომში, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. კომკავშირელთა გმირული ბრძოლა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ომისშემდგომი ხუთწლედების განხორციელებისათვის თავდადებული შრომა, საქართველოს კომკავშირის და ახალგაზრდობის ბრძოლა და შრომა.

უკანასკნელ მეშვიდე განყოფილებაში — „კომკავშირი მხატვრულ ლიტერატურაში" მოთავსებულია გამოჩენილი საბჭოთა მწერლებისა და პოეტების მოთხრობები, რომანები, პოემები, ლექსები, პიესები და სხვ.

**ალ. კოკაია.**

## სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე

მწვანე ხეივნების ზევით ფერდობზე მიმავალი დილმელი ბერიკაცი უცბად შეჩერდა, უკან შემობრუნდა, გოგო-ბიჭები ხმაურობენო — წაილაპარაკა და დაბლობში დილის ბურუსში გახვეულ ზვრებს გადახედა. მოასფალტებულ გზაზე ავტომანქანების კოლონას მოჰკრა თვალი.

— ალბათ ვენახებს ესტუმრნენ, — წაილაპარაკა და გზა განაგრძო, სახნავ-სათესისაკენ მიეშურებოდა.

მართალია, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობას (დირექტორი პ. სოხაძე) თითქმის ყოველდღე მრავალი სტუმარი მოსდის, მაგრამ დღეს ჩვენი სიცოცხლის ყვავილები — ქალიშვილები და ჭაბუკები ხასტუმროდ როდი მოსულან.

მათ სულსა და გულს ახარებდა თვალუწვდენელი, კარგად მოვლილი ვენახები, ფერად-ფერადი ყვავილებით შემკობილი ხეივნები. სტუდენტები ქარვისფერი დაშაქრებული მტევნებით დახუნძლულ ვაზებს შორის განლაგდნენ.

დაიწყო ბარაქიანი რთველი, სიხარულისა და სიცოცხლის რთველი!

ჭაბუკები და ქალიშვილები პირნათლად ასრულებენ პარტიის დავალებას. სტუდენტები პრაქტიკულ შრომასთან ერთად იმაღლებენ თეორიული ცოდნის დონეს, ღრმად სწავლობენ და ეცნობიან ყურძნის მოყვანის, ღვინის დაყენების წესებს.

ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დადგა მეურნეობაში მოსული ორას ორმოცდაათივე სტუდენტი.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ სტუდენტები ი. ლეკაშვილი, ი. კუპატაძე, თ. ჩაგელიშვილი, ლ. მდივანი, ვ. თათარაშვილი, ე. მიტიჩაშვილი, ნ. ჯანელიძე, გ. ლომინაძე, ო. დათუკიშვილი, რ. ჭოჭუა, პ. რაზმაძე, ა. ნიკოლაიშვილი, გ. მაისურაძე, ლ. ნინუა, გ. თათრიშვილი, რ. ჭუმბურიძე, ლ. ბურდული, ზ. თედიაშვილი, რ. რამიშვილი, ლ. არჯევანიძე... ვინ ჩამოთვლის მათ!

სიხარულისა და შემოქმედებითი შრომის დღეებში სტუდენტებს გვერდში უდგანან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ი. სარიშვილი, დოცენტები შ. ქელიძე, ი. ჩხარტიშვილი, ა. ნარჩემაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ხელაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. კაპანაძე, მეურნეობის მთავარი აგრონომი ხ. კვანტალიანი...

სტუდენტებმა — ამ მეურნეობის ბატონ-პატრონებმა, წელს სასახელო წარმატებას მიაღწიეს: 122 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერ ყურძენს იღებენ. ეს შარშანდელთან შედარებით 10 ცენტნერით მეტია. ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის ნაყოფიერად იმუშავეს აგროგანყოფილებებმა, რომელთა გამგეები არიან აგრონომები ი. ფავლენიშვილი, პ. ქიქავა, ვ. კობალეიშვილი, აგროტექნიკოსმა ბ. ნემსიწვერიძემ და სხვებმა.

ბარაქიანი შემოდგომის — სიხარულის რთველია დიღმის ყოფილ ნახრიოკალ ველზე.

სტუდენტები თავდადებული შრომით შესანიშნავ საჩუქრებს უმზადებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალ XXI ყრილობას.

**შ. ჭოჭუა,**
**ა. გოცირიძე.**

## სარედაქციო ფოსტიდან

# ჩაებნენ პენსიონერები საზოგადოებრივ საქმიანობაში

### განაგრძობენ ნაყოფიერ შრომას

ამას წინათ პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-პენსიონერთა შეკრება, რომელზეც შეიქმნა პენსიონერთა საბჭო. გამოიყო სექციები და ჯგუფები. პენსიონერებმა სურვილი გამოთქვეს დაეხმარონ ქარხნის კოლექტივს მუშაობაში, ხელი შეუწყონ ქალაქში სისუფთავის დაცვას, დახმარება გაუწიონ ახალგაზრდებს მოწინავე გამოცდილების ათვისებასა და დანერგვაში.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა პენსიონერმა, ძველმა ბოლშევიკმა ზ. ტიგიტაშვილმა. მან ქარხნის ახალგაზრდებთან გამართა საუბარი შრომითი საქმიანობის შესახებ, გაუზიარა მუშაობის გამოცდილება. მან მემანქანე-ზეინკლის პროფესია შეასწავლა რ. რატიანს, რომელიც ახლა წარმატებით მუშაობს.

სამჭედლო საამქროში პენსიონერი ი. შუშანაშვილი მანამდე არ წავიდა ქარხნიდან, სანამ არ მოამზადა მემანქანე ქ. მენთეშაშვილი, რომელიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობს.

ქარხნის ახალგაზრდებს პროფესიების დაუფლებაში ეხმარებიან აგრეთვე პენსიონერები ვ. ტატიაშვილი, გ. კირთაძე და სხვ.

პენსიონერებმა ვ. ძულიაშვილმა, მ. ლურსმანაშვილმა, გ. სამხარაძემ იკისრეს პლეხანოვის სახელობის კლუბის ეზოს გამწვანება, ნარგავების დაცვა, იქ წესრიგის დამყარება. პენსიონერები ვალ- [illegible]

სავაჭრო ორგანიზაციებში სერიოზული მუშაობა გასწიეს პენსიონერებმა გ. გაბინაშვილმა, ი. კულუმბეგოვმა. მათ გამოავლინეს წონა-ზომაში მოტყუების მრავალი ფაქტი.

**ი. ბოლქვაძე,**
[illegible] გაზეთ „ჩვენი [illegible]" რედაქტორი.

### საქალაქო კონფერენციაზე

კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამას წინათ გორკის სახელობის კულტურის სახლში მოიწვია კვების მრეწველობის ყოფილ მუშაკთა, პენსიონერთა პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საზოგადოებრივ მუშაობაში პენსიონერთა აქტიურად ჩაბმის საკითხს.

კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს თბილისში შექმნან კვების მრეწველობის პენსიონერთა საბჭო, რომელიც დაეხმარება კვების მრეწველობის მუშაკებს მუშაობაში. ამასთან პენსიონერთა საბჭოს ექნება ურთიერთდამხმარე სალარო. იგი დაეხმარება შრომის ინვალიდებს სამუშაოზე მოწყობაში, ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის, მებაღეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფაში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საგზურების გამონახვაში. საბჭო შექმნის აგრეთვე ჭრა-კერვის, მხატვრული თვითმოქმედების და სხვა წრეებს.

**ს. ხარაბაძე, ს. ჯაფარიძე,**
პენსიონერები.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ყურძნის კრეფაზე.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# ვ. ი. ლენინი თბილისის შესახებ

**ვ. ესაიაშვილი**

მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი კარგად იცნობდა ქ. თბილისს. მან ბევრი რამ იცოდა საქართველოს დედაქალაქის შესახებ. დიდი ლენინის უკვდავ სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია თბილისის რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცების, მათი მოღვაწეობის მთელი ისტორია.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის განთიადზე დაამყარა კავშირი რევოლუციურ თბილისთან, და მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს არ შეწყვეტილა იგი. პირიქით, ეს კავშირი სულ უფრო ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა.

ვ. ი. ლენინის შრომებში, სტატიებსა და გამოსვლებში სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით 20-ზე მეტჯერ მოხსენებულია ქ. თბილისი.

ვ. ი. ლენინი ქ. თბილისს პირველად იხსენიებს 1894 წელს. ამ წლის 30 მაისს პ. მასლოვისათვის გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: „მაკვირვებს ერთი რამ, რათ დაგჭირდათ ჩემი „ძებნა". განა სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებისას ნ. მ. ა-მ არ გნახათ თქვენ? და არ გადმოგცათ (რის შესახებაც მე მას ვთხოვდი), რომ მე მაქვს მუდმივი მისამართი".

ეს წერილი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ვ. ი. ლენინს უკვე ამ პერიოდიდან ურთიერთობა ჰქონდა თბილისელ რევოლუციურ მოღვაწეებთან. დოკუმენტალურად გამოკვლეულია, აგრეთვე, რომ ვ. ი. ლენინი თბილისის შესახებ მასალებს გასცნობია ჯერ კიდევ 1893-1894 წლებში.

ვ. ი. ლენინის მიერ წაკითხულ და დამუშავებულ ეკონომიური ხასიათის წიგნებს შორის ინახება ნ. ობრუჩევის რედაქციით გამოსული დიდი ნაშრომი „სამხედრო სტატისტიკური კრებული", რომელიც ვ. ი. ლენინს დაუმუშავებია 1893 წლის შემოდგომაზე და არეებზე გაუკეთებია თავისი შენიშვნები, შეუსრულებია სტატისტიკური მასალების გამოანგარიშებანი. ამ წიგნში ბევრი საინტერესო მასალაა საქართველოს, კერძოდ თბილისის შესახებ. სხვა წყაროები გვიჩვენებენ, რომ ამავე პერიოდში ვ. ი. ლენინს ხელთ ჰქონია სტატისტიკური მონაცემები თბილისის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნებისა და მათში მომუშავე მუშათა რაოდენობის შესახებ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან თბილისში ცნობილი ხდება ვ. ი. ლენინის სახელი. ამ დროიდან უკვე შემოდის ლენინის პირველი ნაწერები, რომელთაც განსაკუთრებული ინტერესით დაეწაფნენ მოწინავე მუშები და რევოლუციური ინტელიგენცია. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინის წიგნმა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ეს გენიალური ნაშრომი და ლენინის სახელი არაერთხელ იხსენიება იმ დროს თბილისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში. 1899 წელს გაზ. „კვალის" 30-ე ნომერში ვრცელი რეცენზიაც დაიბეჭდა ლენინის ამ ნაშრომზე. ამის შემდეგ კიდევ უფრო პოპულარული გახდა ლენინის სახელი თბილისის მოწინავე მუშებს შორის.

ძველი მუშა-რევოლუციონერი ვანო სტუროა 1924 წლის 23 აპრილს გაზ. „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებულ მოგონებაში წერდა: „1899 წელს, როცა თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ვმუშაობდი, წავიკითხე წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", რომლის ყდაზე ეწერა ავტორის გვარი — ილინი...

პირველ ს. დ. წრეში, რომლის წევრიც მე ვიყავი, ჩვენ გვირჩევდნენ საფუძვლიანად შეგვესწავლა ეს წიგნი და მიგვითითეს, რომ „ილინის" ფსევდონიმით წერს ლენინი. წიგნი წავიკითხე საფუძვლიანად, ხოლო შემდეგ მე მიხდებოდა საკმაოდ ხშირად მეკითხა სხვა რამეებიც: ამხ. ლენინის ნარკვევები, აგრეთვე მისი სტატიები ძველ „ისკრაში".

1900 წლიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლენინის უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით გამოსვლა იწყო გაზეთმა „ისკრამ", კიდევ უფრო გაფართოვდა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავშირი ვ. ი. ლენინთან. ამ დროს უკვე არსებობდა არჩევითი გზით შექმნილი რსდმპ თბილისის კომიტეტი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ისკრასთან". ვ. ი. ლენინი სისტემატურად იღებდა თბილისის კომიტეტისაგან წერილებს, გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალებს, არალეგალურად გამოცემულ პროკლამაციებსა და ფურცლებს.

ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულ ლენინის ფონდში ინახება რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმოწერით გამოცემული პროკლამაციები, რომლებზეც ლენინის ხელით გაკეთებულია მისთვის საჭირო აღნიშვნები. 1901 წლის 10 აგვისტოთი დათარიღებულ პროკლამაციაში აღწერილია თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა დიდი გაფიცვა, რომელშიც 3.000 კაცი მონაწილეობდა. ამავე წლის 14 სექტემბერს გამოცემული პროკლამაცია მიმართული იყო ჯარისკაცებისადმი და მოუწოდებდა მათ არ გამხდარიყვნენ მთავრობის ბრმა იარაღი.

განსაკუთრებით საინტერესოა მესამე პროკლამაცია „ამხანაგებო", რომელიც 1902 წლის დამლევს უნდა იყოს დაწერილი. როგორც ჩანს, თბილისის კომიტეტს ეს პროკლამაცია გამოუცია 22 აპრილს გამართული დიდი მანიფესტაციის მონაწილე თბილისელი მუშების რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადასახლებასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინს განსაკუთრებით მოსწონებია ეს პროკლამაცია და იმისათვის, რომ მოეხდინა მისი ფართო პოპულარიზაცია, იგი „ისკრაში" დასაბეჭდად გაუმზადებია. ლენინს პროკლამაციისათვის გაუკეთებია რედაქცია, გაუსწორებია სტილისტური შეცდომები (რაც ხშირად ახლდა სახელდახელო არალეგალურ გამოცემებს), გამოუყვია აბზაცები, ზოგან ცალკე სტრიქონები გადაუბამს და თანმიყოლებით დაულაგებია ტექსტი, რომ გაზეთში ნაკლები ადგილი დაეჭირა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თბილისის მუშათა რევოლუციური მოძრაობის შესახებ ცნობების ფართოდ გავრცელებას. გაზეთ „ისკრის" ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები და კორესპონდენციები თბილისის რევოლუციური ამბების შესახებ. ძალიან ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ 1902 წლის თებერვალში გაზ. „ისკრის" რედაქციამ გამოსცა ბროშურა „თბილისის მუშათა მოძრაობიდან". ბროშურა აცნობდა მკითხველებს თბილისის მუშათა ბრძოლების უკანასკნელი ორი წლის ისტორიას და მაღალ შეფასებას აძლევდა მას. ბროშურის წინასიტყვაობაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ თბილისელმა ისკრელებმა თავიანთი განსაცვიფრებელი ენერგიისა და რევოლუციურობის გამოვლინებით შეძლეს საპატიო ადგილი დაეკავებინათ ჩვენს პარტიაში.

ვ. ი. ლენინს ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მთელ რიგ სხვა ქალაქებთან ერთად თბილისში ფართო გაქანება მიიღო მუშათა მოძრაობამ. 1903 წლის 1 თებერვალს ვ. ი. ლენინი წერდა: „კავკასიის სამრეწველო ცენტრებში, როგორიც არის ბაქო, თბილისი და ბათუმი, მათი მსხვილი საწარმოებითა და მრავალრიცხოვანი საფაბრიკო პროლეტარიატით, ამ მოძრაობამ უკვე ღრმად გაიდგა ფესვები".

ვ. ი. ლენინის სახელი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა თბილისელ მუშათა შორის. უკვე 1903 წლიდან იწყება ვ. ი. ლენინის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნა. ქართველ მუშებს შესაძლებლობა მიეცათ მშობლიურ ენაზე გასცნობოდნენ და შეესწავლათ დიდი ლენინის გენიალური ნაწარმოებები.

თბილისელი ბოლშევიკები ყოველთვის მტკიცედ იდგნენ ლენინურ პოზიციებზე და ენერგიულად იბრძოდნენ ბოლშევიკური პარტიის მშენებლობისა და განმტკიცების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

თბილისელმა ბოლშევიკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში. 1904 წლის სექტემბერში თბილისის კომიტეტმა კავკასიის კავშირის კომიტეტთან ერთად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დაგმობილ იქნა მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება ვ. ი. ლენინისადმი და კატეგორიული ფორმით იყო გამოთქმული, რომ კავკასიის კავშირისა და თბილისის კომიტეტები უერთდებიან 22 ბოლშევიკის რეზოლუციას, უნდობლობას უცხადებენ მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს და მოითხოვენ ყრილობის აუცილებლად მოწვევას.

როგორც ცნობილია, 1904 წლის სექტემბერში რამდენიმე ბოლშევიკური კომიტეტის კონფერენციაზე შეიქმნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. ამის შემდეგ საჭირო იყო დაუყოვნებლივ შეერთებოდნენ მას სხვა კომიტეტები. ლენინი ოპერატიულად ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

1904 წლის 10 ნოემბერს ლენინმა მიმართა კავკასიის კავშირის კომიტეტს და მოითხოვა დაუყოვნებლივ მოეგვარებინა ორი უმნიშვნელოვანესი საქმე. ერთი ის, რომ რაც შეიძლება მალე შეერთებოდნენ უკვე შექმნილ უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს და მეორეც, მხარი დაეჭირათ ახლად შექმნილი ბოლშევიკური გამომცემლობის — ვ. ი. ლენინისა და ბონჩ-ბრუევიჩის გამომცემლობის ლიტერატურის გავრცელებისათვის. 1904 წლის 10 ნოემბერს ბაქოს კომიტეტის წევრის სტოპანისთვის გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი იძლეოდა მითითებას: „აუცილებლად ეცადეთ რაც შეიძლება მალე ჩახვიდეთ თბილისში, გადიეცით ერთიც და მეორეც. რაც შეიძლება მალე შემოგვიერთდნენ...".

ვ. ი. ლენინი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მოვლენათა მსვლელობას ქ. თბილისში და ხშირი მიმოწერა ჰქონდა თბილისელ ბოლშევიკებთან.

ცნობილია, რომ 1905 წლის 18 იანვარს დაიწყო თბილისში მუშათა საყოველთაო გაფიცვა. უკვე 25 იანვარს, გაზ. „ვპერიოდის" № 5-ში მოთავსებულ წერილში „პირველი ჭექა-ქუხილი" ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „თბილისში დაიწყო გაფიცვა".

25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) თბილისში ადგილი ჰქონდა არაჩვეულებრივ მოვლენას, რომელმაც ვ. ი. ლენინის ყურადღება მიიქცია. ბოლშევიკების თბილისის კომიტეტმა მოაწყო რევოლუციონერთა ერთდროული თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე. საღამოს 8 საათზე თბილისის რამდენიმე რაიონში—ორთაჭალაში, ბროსეს და ერმოლოვის ქუჩებზე მდებარე კაზაკთა ყაზარმებში გადაისროლეს ყუმბარები, რის შედეგადაც მოკლულ იქნა 1 და დაიჭრა 20 კაზაკი. ამ თავდასხმებმა ააფორიაქა ხელისუფლება და საშინელი პანიკა გამოიწვია კაზაკთა და ჯარისკაცთა ნაწილებში. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას, მრავალი ცნობა დაიბეჭდა საზღვარგარეთის პრესაში.

ვ. ი. ლენინი ამ დროს ჟენევაში იმყოფებოდა. მან მეორე დღესვე გაიგო თბილისში მომხდარი ეს ამბავი და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მას. მესამე დღეს — 10 ოქტომბერს ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში" აღნიშნავდა, რომ თბილისის მუშებს კარგად აქვთ მოწყობილი ბრძოლა, იგი მაღალ საფეხურზეა, რომ თბილისის მუშებმა მოაწყეს „სახალხო იარაღის ახალ სახეობათა — ყუმბარების (რომლებმაც თბილისში 26 სექტემბერს (9 ოქტომბერს) დიდი პანიკა გამოიწვიეს კაზაკებსა და ჯარისკაცებში) ფართოდ გამოყენება". ვ. ი. ლენინს უცხოეთის გაზეთებიდან ამონაწერების თავის რვეულში აღუნიშნავს: „შეშფოთება, რაც გამოიწვია თბილისში 8 ოქტომბერს საღამოს ერთსა და იმავე დროს 9 ყუმბარის აფეთქებამ, მხოლოდ 11 საათზე დაცხრა. მძიმედ დაჭრილი 20 კაზაკი საავადმყოფოშია მოთავსებული, როგორც ამბობენ, მოკლულია სულ 1 კაზაკი... ეჭვი არ არის, რომ ყუმბარები მიმართული იყო კაზაკების წინააღმდეგ, როგორც რეპრესალია თბილისში 11 სექტემბერს მოწყობილი „ხოცვა-ჟლეტის გამო".

ვ. ი. ლენინს მაშინვე შეუტყვია აგრეთვე თბილისში ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის დროს მომხდარი ამბები. უცხოეთის გაზეთებიდან ამონაწერთა რვეულში ლენინს ჩაუწერია: „თბილისი, 17 (30) — ორშაბათი, — გაფიცვა საყოველთაოა. ქუჩებში განუწყვეტლივ გაისმის სროლა და ყუმ-

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესია

**ნიუ-იორკი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე დასასრულს უახლოვდება საერთო პოლიტიკური დისკუსია. დღევანდელ დილის სხდომაზე გამოვიდნენ ნეპალის, სუდანისა და მექსიკის წარმომადგენლები.

ნეპალის საგარეო საქმეთა მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა ვიკრამ-შაჰმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ნეპალი იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს — პანჩაშილას.

ნეპალის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა პატარა ქვეყნებს შეინარჩუნონ სუვერენიტეტი, არ ჩააბმევინონ თავი სამხედრო ბლოკებში და ამით შემაკავებელი და კონსტრუქციული გავლენა მოახდინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაზე.

სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამედ აჰმედ მაჰგუბმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა აფრიკისა და აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას უცხოეთის ბატონობისა და კოლონიალიზმის ნაშთების წინააღმდეგ.

სხდომის დასასრულს ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პადილია ნერვომ.

**ნიუ-იორკი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე პოლიტიკურ დისკუსიაში გამოვიდა მაროკოს წარმომადგენელი ფილალი. მან განაცხადა, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის ჯარების ყოფნა მაროკოს ტერიტორიაზე ზღუდავს მისი ქვეყნის სუვერენიტეტს და აფერხებს მის ეკონომიურ განვითარებას.

ფილალიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მთავრობა მხარს უჭერს ბანდუნგში და აფრიკის ქვეყნების აკრის კონფერენციაზე გამოცხადებულ პრინციპებს და მოითხოვს მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებას არაბთა სახელმწიფოებს შორის.

მაროკოს დელეგატმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხი არ გადაიჭრა ახლანდელ სესიაზე.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მაროკოს დელეგატმა მიუძღვნა მდგომარეობას ალჟირში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მიერ მოწყობილი რეფერენდუმი ვერაფერს ვერ გადაწყვეტს, რადგან იგი ფრანგებმა მოაწყეს იმ მომენტში, როცა საფრანგეთის 800-ათასიანი არმია ომს ეწევა ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. მხოლოდ საფრანგეთის მოლაპარაკებას ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან, რომელიც გამოხატავს ალჟირელი ხალხის ნებას, შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის დამთავრება, თქვა მან. მაროკოს დელეგატმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ტუნისის მთავრობასთან ერთად კვლავ სთავაზობს შუამავლის სამსახურს მოლაპარაკებაში ალჟირის უაზრო სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ სიტყვა მიეცა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კ. ლუკანოვს განცხადებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენების გამო გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუციის შესრულების შესახებ ახლო აღმოსავლეთის თაობაზე. ამ რეზოლუციის მიღებას, თქვა ლუკანოვმა, შვებით შეხვდა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც მისი სწრაფი და უთუო შესრულების იმედი ჰქონდა. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ამერიკის ჯარები განაგრძობენ ლიბანის ოკუპაციას, ხოლო ინგლისის ჯარები — იორდანიის ოკუპაციას. სიმბოლიური ჟესტები, როგორიც არის ცალკეული ბატალიონების გაყვანა, ვერავის ვერ დააკმაყოფილებს, რადგან ისინი არ ცვლიან ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ ახლო აღმოსავლეთის ორი ქვეყნის ოკუპაციის ფაქტს. ლუკანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის რეზოლუციის უთუო შესრულების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და შეეხება ყველა სახელმწიფოს ინტერესებს.

მაგრამ, განაგრძო ბულგარეთის წარმომადგენელმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებიდან და მოხსენებას დართული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ უცხოეთის ჯარების საბოლოო გაყვანა ლიბანიდან და იორდანიიდან დათქმულია მთელი რიგი პირობებით, რომელთა გაგება ამასთან შეიძლება სულ სხვადასხვანაირად და რომლებიც ნებისმიერად აჭიანურებენ ამ საკითხს. მოხსენება მთავარ ყურადღებას აქცევს არა უცხოეთის ჯარების გაყვანას არაბული აღმოსავლეთიდან, არამედ თვით არაბთა სახელმწიფოების ურთიერთობას, მაშინ როცა არაბთა სახელმწიფოების ურთიერთობის მოწესრიგება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩარევის შეწყვეტას.

ახლა, განაცხადა დასასრულ ბულგარეთის წარმომადგენელმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთადერთი სწორი მოთხოვნა შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნა, რომ უმოკლეს და მტკიცედ გარკვეულ ვადაში გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან.

# ჩინური პრესა საქდესის კორესპონდენტის კითხვაზე ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის შესახებ

**პეკინი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს პეკინის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სრულ ტექსტს 1 ოქტომბერს პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის ზოგიერთ აზრთან დაკავშირებით.

გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო" ათავსებს პასუხის სრულ ტექსტს პირველ გვერდზე დიდი სათაურით „ხრუშჩოვი საკადრის პასუხს აძლევს ეიზენჰაუერს" და ქვესათაურებში ხაზგასმულია ნ. ს. ხრუშჩოვის შემდეგი სიტყვები: „ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევამ ჩინეთის საშინაო საქმეებში შეერთებული შტატები მიიყვანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის ნამდვილ ზღვარზე. და თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადალახეს ეს ზღვარი, საბჭოთა კავშირი განზე ვერ დარჩება. მაგრამ სამოქალაქო ომში, რომელსაც ჩინელი ხალხი ეწევა ჩანკაიშელთა ხროვის წინააღმდეგ, ჩვენ არ ჩავრეულვართ და არც ვაპირებთ ჩარევას".

გაზეთი „გუანმინ ჟიბაო" პასუხის სრულ ტექსტს აქვეყნებს პირველ გვერდზე და სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს: „უარყო რა ეიზენჰაუერის ცილისმწამებლური გამოთქმები, ხრუშჩოვმა კვლავ განაცხადა, რომ ჩინეთზე თავდასხმა არის საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. საბჭოთა კავშირი არ ჩარეულა და არც აპირებს ჩაერიოს სამოქალაქო ომში, რომელსაც ჩინელი ხალხი ჩანკაიშელთა ხროვის წინააღმდეგ ეწევა".

დღეს პეკინის რადიომ აგრეთვე რამდენჯერმე გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის დაწვრილებითი შინაარსი.

# პინ დე-ხუაის მიმართვა თანამემამულეებისადმი ტაივანზე

**პეკინი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა სრული ტექსტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პინ დე-ხუაის მიმართვისა თანამემამულეებისადმი ტაივანზე:

„თანამემამულეებო — სამხედრო მოსამსახურეებო და სამოქალაქო მოსახლეობავ ტაივანზე, პენხულედაოზე, ძინმინდაოზე, მაძუდაოზე!

ჩვენ ყველანი ჩინელები ვართ. ყველა გზიდან საუკეთესოა მშვიდობიანი გზა. საბრძოლო ოპერაციებს ძინმინდაოს რაიონში დამსჯელი ხასიათი აქვს. ხანგრძლივი დროის მანძილზე თქვენი ხელმძღვანელები უკიდურეს გაავთრებას იჩენდნენ. ისინი გზავნიდნენ მატერიკზე თვითმფრინავებს, და ეს უკანასკნელები, იყენებდნენ რა ყოველგვარ გასაძვრომს, მიფრინავდნენ შორს, თითქმის იუნანამდე, გუიჯოუმდე, სიჩუანამდე, კანდინის რაიონამდე, ცინხაიმდე, ყრიდნენ ფურცლებს, გადმოსხავდნენ ხოლმე ჯაშუშებს, ბომბავდნენ ფუჯოუს, აწუხებდნენ ძიანსუს, ჩჟეძიანს. თუ ამის მოთმენა შეიძლება, მაშინ რის მოთმენა აღარ შეიძლება? ამიტომ ჩვენ მოვახდინეთ ერთგვარი საარტილერიო სროლა, რათა მიგვეპყრო თქვენი ყურადღება. ტაივანი, პენხულედაო, ძინმინდაო, მაძუდაო ჩინეთის ტერიტორიაა. ამას თქვენ ეთანხმებით, რამაც თავისი გამოხატულება პოვა თქვენი ხელმძღვანელების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, რომლებშიც დადასტურებულია, რომ ეს კუნძულები ნამდვილად არ არის ამერიკელთა ტერიტორია. ტაივანი, პენხულედაო, ძინმინდაო, მაძუდაო ჩინეთის ნაწილია, ისინი არ წარმოადგენენ რაიმე სხვა ქვეყანას. მსოფლიოში არის მხოლოდ ერთი ჩინეთი, არ არის ორი ჩინეთი. თქვენ ამასაც ეთანხმებით, რამაც თავისი გამოხატულება პოვა თქვენი ხელმძღვანელების დოკუმენტებში. თქვენს ხელმძღვანელებსა და ამერიკელებს შორის დადებული სამხედრო შეთანხმება ცალმხრივია. ჩვენ არა ვცნობთ მას. იგი უნდა გაუქმდეს. ბოლოს და ბოლოს აუცილებლად დადგება დღე, როცა ამერიკელები მოგიშორებენ თქვენ. თქვენ არ გჯერათ? ისტორია დაამტკიცებს. დალესის 30 სექტემბრის გამოსვლაში უკვე ჩანს ამის პირველი ნიშნები. თქვენს ადგილზე განა არა გრძნობთ ასეთ გამოუვალ მდგომარეობას? საბოლოო ანგარიშით ამერიკის იმპერიალიზმი ჩვენი საერთო მტერია. ძინმინდაოზე 130 ათას სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო მცხოვრებთ ესაჭიროებათ მომარაგება, ისინი იტანჯებიან შიმშილით და სიცივით, დიდხანს ვერ გასძლებენ. ჰუმანურობისათვის მე ვუბრძანე ფუძიანის ფრონტის ნაწილებს 6 ოქტომბრიდან დროებით შვიდი დღით შეწყვიტონ საარტილერიო სროლა. ამ პერიოდის განმავლობაში თქვენ შეგეძლებათ საკმაოდ და თავისუფლად ჩამოიტანოთ ყოველივე საჭირო, ნაგრამ იმ პირობით, რომ ამერიკელები არ გამოჰყვებიან თქვენს გემებს. თუ ისინი გამოჰყვნენ თქვენს გემებს, მაშინ ეს გამორიცხულია. ომი თქვენსა და ჩვენს შორის უკვე 30 წელია გრძელდება. ცუდია, რომ იგი დღემდე არ დამთავრებულა. ჩვენ გთავაზობთ დავიწყოთ მოლაპარაკება მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. ამის შესახებ პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ გაცნობათ რამდენიმე წლის წინათ. ეს ჩინეთის საშინაო საქმეა, რომელიც ეხება თქვენსა და ჩვენს მხარეს და არა საქმე, რომელიც ეხება ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. შეერთებული შტატების შეჭრა ტაივანზე, პენხულედაოზე და ტაივანის სრუტეში და მათი ოკუპაცია არის საკითხი, რომელიც ეხება ჩინეთისა და ამერიკის მხარეებს, და იგი უნდა მოწესრიგდეს ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკების გზით, რაც ახლა მიმდინარეობს ვარშავაში. ბოლოს და ბოლოს ამერიკელები წავლენ, ნათ არ შეუძლიათ არ წავიდნენ. თუ ამერიკელები ადრე წავლენ, ეს შეერთებული შტატებისათვის სასარგებლო იქნება, რადგან შეერთებული შტატები შეძლებენ გამოიჩინონ ინიციატივა. თუ ამერიკელები გვიან წავლენ, ეს მხოლოდ საზიანო იქნება შეერთებული შტატებისათვის, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები მუდამ მოკლებული იქნებიან ინიციატივას. რატომ მოდის წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ქვეყანა, რომელიც წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს? წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილი ეკუთვნის ხალხებს, რომლებიც წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ, ისევე როგორც წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილი ეკუთვნით ხალხებს, რომლებიც წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. ეს ყველასათვის გასაგებია, და ამერიკელებმაც უნდა გაიგონ ეს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ არის ომი, და ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება ცეცხლის შეწყვეტაზე. განა სასაცილო არ არის ლაპარაკი ცეცხლის შეწყვეტაზე, როცა ცეცხლი არ არის? მეგობრებო ტაივანზე! ჩვენს შორის ანთია ომის ცეცხლი, და იგი უნდა შევაჩეროთ და ჩავაქროთ. ამისათვის საჭიროა მოლაპარაკება. ომი კიდევ 30 წელს რომ გაგრძელდეს, ეს არც ისეთი დიდი საქმეა, მაგრამ მაინც უკეთესია მივაღწიოთ უსწრაფეს მშვიდობიან მოწესრიგებას. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რა გზით წახვალთ.

# ვილჰელმ პიკის მიმართვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

**ბერლინი,** 6 ოქტომბერი. (საქდესი). ადნის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მიმართვა მოსახლეობისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 9 წლისთავთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას ულოცავს დიდ წარმატებას, რაც რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერულ მუშაობაში, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგშია მიღწეული.

ჩვენი რესპუბლიკა, აღნიშნავს ვ. პიკი, გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა. მისი საერთაშორისო ავტორიტეტი განუწყვეტლივ იზრდება. ჩვენ მხარს გვიჭერენ ძლიერი და საიმედო მეგობრები — მოძმე საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

ვილჰელმ პიკი შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობამ დასახა დიდი პროგრამა, რომელიც ემსახურება არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქის ინტერესებს, არამედ მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებსაც. ეს არის მშვიდობის, ბედნიერებისა და კეთილდღეობის პროგრამა, სოციალიზმის პროგრამა.

ილაპარაკა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და ოლქების სახალხო წარმომადგენლობას მომავალი არჩევნების მნიშვნელობაზე, ვ. პიკმა აღნიშნა, რომ ეს არჩევნები ხელს შეუწყობენ ახალი ძალების მობილიზაციას, რომლებიც მზად არიან დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის საბრძოლველად.

დასასრულ პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი აცხადებს:

მტკიცე რწმენით გამსჭვალულნი, საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ყველა სხვა სახელმწიფოსთან განუყრელი მეგობრობით დაკავშირებულნი, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მჭიდროდ დამეგობრებულნი ჩვენ გაბედულად ვვლით წინ, მშვენიერი მიზნისაკენ — სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.



ფოთი. ლენინის ქუჩა.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

# საბჭოთა კავშირის პირად - გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა ფინალური შეხვედრები. საბჭოთა კავშირის 1958 წლის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში გახდნენ: უმჩატეს წონაში: **საიადოვი** (უკრაინა), მეორე ადგილზე გამოვიდა მჭედლიშვილი (საქართველო), მესამეზე — კარავაევი (ბელორუსია); მჩატე წონაში: **ზამიატინი** (ლენინგრადი), მეორე ადგილზე გამოვიდა ლოსიკი (ბელორუსია), მესამეზე — არსენიანი (საქართველო); ქვემსუბუქ წონაში: **მუშეღიანი** (სომხეთი), მეორეზე — ხუდბეევი (მოსკოვი), მესამეზე — დერემიანი (რსფსრ); მსუბუქ წონაში: **სინიავსკი** (უკრაინა), მეორეზე — კოლესნიკი (ლენინგრადი), მესამეზე — სალიმულინი (უკრაინა); ქვესაშუალო წონაში: **ნებიერიძე** (უკრაინა), მეორე ადგილზე გამოვიდა აგაბეკიანი (მოსკოვი), მესამეზე — მუხიაშვილი (საქართველო); საშუალო წონაში: **გობეჯიშვილი** (საქართველო), მეორეზე — სხირტლაძე (საქართველო), მესამე ადგილზეა კ. ნიჟარაძე (მოსკოვი); ქვემძიმე წონაში: **გურევიჩი** (უკრაინა), მეორეზე—შ. ნიჟარაძე (მოსკოვი), მესამეზე — ალბული (ლენინგრადი); მძიმე წონაში: **ძარასოვი** (რსფსრ), მეორეზე — ვიხრისტიუკი (უკრაინა), მესამე ადგილზე გამოვიდა კანდელაკი (საქართველო).

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს გუნდი, რომელსაც გადაეცა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი, ხოლო საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონს საქართველოს პირველ გუნდს წილად ხვდა მესამე ადგილი.

# გაიხსნა ტურნირი მსოფლიო პირველობაზე საერთაშორისო (ასუჯრედიან) შაშში

**ჰააგა.** (საქდესი). 4 ოქტომბერს ჰააგაში ჰოლანდიის საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მატჩი მსოფლიო პირველობაზე საერთაშორისო (ასუჯრედიან) შაშში.

შაშის დაფასთან ერთმანეთს ხვდებიან ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი კანადელი გროსმაისტერი მ. დელორიე და საბჭოთა გროსმაისტერი ი. კუპერმანი, რომელმაც ეს საპატიო უფლება მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირში.

მატჩი შედგება 20 პარტიისაგან და გაგრძელდება 1 ნოემბრამდე.

მატჩის პირველი პარტია მსოფლიო პირველობაზე საერთაშორისო (ასუჯრედიან) შაშში მიმდინარეობდა საბჭოთა დიდოსტატის გროსმაისტერის ი. კუპერმანის უპირატესობის ნიშნით.

მსოფლიო ჩემპიონ მ. დელორიეს ცდა — კომბინაციური მუქარით შეესუსტებინა ი. კუპერმანის შეტევა, წარმატებით არ დაგვირგვინდა და მატერიალური ზარალის საფრთხის გამო იგი იძულებული გახდა დანებებოდა 64-ე სვლაზე. ხალხით გაჭედილი დარბაზი საბჭოთა გროსმაისტერის პირველ გამარჯვებას მქუხარე ტაშით შეხვდა.

# XIII საჭადრაკო ოლიმპიადაზე

**მიუნხენი,** 7 ოქტომბერი. გუშინ საღამოს შედგა XIII საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალური შეჯიბრების მე-6 ტური.

საბჭოთა კავშირის გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბოტვინიკი, კერესი, ბრონშტეინი და ტალი, შეხვდა ირლანდიის მოჭადრაკეებს. მატჩი დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებით ანგარიშით 4 : 0.

ამრიგად, პირველ ჯგუფში ექვსი მატჩის შემდეგ პირველ ადგილზე მიდის საბჭოთა კავშირის გუნდი, რომელმაც 20,5 ქულა შეაგროვა.

# ძალოსანთა ასპარეზობა

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სტალინირის საჭიდაო დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში საქართველოს 1958 წლის პირად გუნდურ პირველობაზე.

გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი გახდა „კოლმეურნეს" კოლექტივი. მეორე ადგილი მიეკუთვნა „დინამოს", ხოლო მესამე — „სპარტაკის" გუნდებს.

# მ. ზლატკინის საიუბილეო საღამო

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" დირექტორი მ. ი. ზლატკინი უკვე 35 წელია ეწევა საზოგადოებრივ-ლიტერატურო მოღვაწეობას. მან თბილისში მუშაობა დაიწყო 1925 წელს. ამ ხნის განმავლობაში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი მწერლების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე პოპულარიზაციის საქმეში.

ფართო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გამომცემლობა რუსულ ენაზე ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნისა და ჩვენს ქვეყანაში მათი გავრცელების საქმეში. 1936-დან 1958 წლამდე გამომცემლობამ გამოუშვა 500-ზე მეტი სახელწოდების სხვადასხვა სახის მხატვრული ლიტერატურა.

აღსანიშნავია გამომცემლობის ნაყოფიერი მუშაობა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მზადების დღეებში.

ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დიდად დააფასა ზლატკინის მოღვაწეობა. ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კლუბში მას გაუმართეს დაბადების 60 და საზოგადოებრივი სალიტერატურო-საგამომცემლო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა კრიტიკოსმა ს. ჭილაიამ. მოხსენება მ. ზლატკინის მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა დრამატურგმა მ. მრევლიშვილმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, ა. ბელიაშვილი, ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ბ. სეირანიანი, მ. ლოხვიცკი და სხვები.

# ბ. ს. დიხამინჯია — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ლიას სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ს. დიხამინჯიამ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მკერდუკანა ანესთეზიის საკითხისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა კ. ს. დიხამინჯიასათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

# ახალი სასოფლო მაღაზია

**ხაშური.** (საკ. კორ.). ამას წინათ სურამის სოფლის კოოპერატივმა სოფელ ტეზერში ახლადაგებულ კაპიტალურ შენობაში გახსნა სასოფლო მაღაზია.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

# მსოფლიოს რუკასთან
# გვინეის რესპუბლიკა

აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი გმირული ბრძოლის ისტორიაში ახალი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა: გამოცხადდა გვინეის რესპუბლიკა.

გვინეის ხალხმა, რომელიც ათეულ წლობით იბრძოდა ფრანგ კოლონიზატორთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის საკითხზე რეფერენდუმის დროს უარყო დე გოლის მთავრობის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი და ამით ცხადყო, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას.

2 ოქტომბერს გვინეის დედაქალაქ კონაკრიში ტერიტორიული ასამბლეის საგანგებო სხდომაზე ოფიციალურად გამოაცხადეს გვინეის რესპუბლიკა. რესპუბლიკის ახალ მთავრობას, რომელიც 11 წევრისაგან შედგება, სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული პარტიის ლიდერი სეკუ ტურე.

გვინეა არის ქვეყანა, რომელიც ადრე შვიდ სხვა ტერიტორიასთან ერთად შედიოდა ვრცელ კოლონიურ სამფლობელოში — საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში. გვინეის ტერიტორია 250 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტია, მოსახლეობა 2,5 მილიონამდე სულს შეადგენს.

გვინეა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მისი ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა ბოქსიტების დიდი საბადოები. მაგრამ მთელი მრეწველობა, რომელიც მადნეულის ამოღებასა და გადამუშავებას აწარმოებს, უცხოელთა, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის მონოპოლიების ხელშია. მოსახლეობა მისდევს მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. მოჰყავთ ბრინჯი, აფრიკული ბანანი, ყავა და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გვინეა ფრანგმა კოლონიზატორებმა მიიტაცეს. ისინი მკაცრ კოლონიურ წესებს ნერგავდნენ, ექსპლოატაციას უწევდნენ მოსახლეობასა და ბუნებრივ სიმდიდრეებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გვინეაში, ისევე როგორც აფრიკის სხვა კოლონიებში, დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გვინეის დემოკრატიული პარტია. ამჟამად გვინეელი ხალხის ბრძოლა დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს წინადადებით დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას შორის. კ. ე. ვოროშილოვმა საპასუხო დეპეშაში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობს გვინეის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელსა და სუვერენულ სახელმწიფოს, და გამოთქვა მზადყოფნა დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლები.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა მიესალმება აფრიკის ახალი სახელმწიფოს დაბადებას და უსურვებს მას წარმატებებს დამოუკიდებელი განვითარების გზაზე.




**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი** აცხადებს 1958-1959 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მოსწავლეთა მიღებას.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი განურჩევლად ასაკისა, რომელთაც აქვთ არანაკლებ შვიდი კლასის განათლება და მუშაობენ სოფლის მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სწავლას გადიან შემოკლებული ვადით და მიიღებიან მესამე კურსზე.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება ამზადებს სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ საშუალო კვალიფიკაციის უმცროს მემინდვრე აგრონომებს. სწავლის ხანგრძლივობა: შვიდწლედის კურსდამთავრებულთათვის 5 წელი, საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის 3 წელი.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილების კურსდამთავრებულებს უფლება ენიჭებათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: 1. არასრული საშუალო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულნი; 2. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები მიუხედავად დამთავრების წლისა; 3. სამამულო ომის მონაწილენი მიიღებიან უკონკურსოდ.

დანარჩენი პირები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) შვიდწლედის კურსდამთავრებულნი არასრული საშუალო სკოლის პროგრამით: 1) მათემატიკაში (ზეპირი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. ქართულ ენაში (ზეპირი), 4. ქართულ წერაში (კარნახი), ბ) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საშუალო სკოლის პროგრამით: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (წერა), 4. მათემატიკაში (ზეპირი).

განცხადებების მიღება 1 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე. მისაღები გამოცდები 1 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე. განცხადებები შეტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს; 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4), 4. ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და სტაჟის ჩვენებით, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

შორეული რაიონებიდან ტექნიკუმში შემსვლელთ შეუძლიათ მისაღები გამოცდები ჩააბარონ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექციის ნებართვით, შემსვლელის სამუშაო ადგილთან მახლობელ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაში, მახლობელ ტექნიკუმში და რაიონის სოფლის მეურნეობის ინსპექციაში.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.

ტელევიზიის პროგრამა
8 ოქტომბრისათვის

20.00 — [illegible]
20.20 — [illegible]
21.00 — [illegible]

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია** აცხადებს **კონკურსს** ვარსკვლავთ ასტრონომიის განყოფილების ორი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს სათანადო დოკუმენტაცია ორ ეგზემპლარად.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

მისამართი: აბასთუმანი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ტრესტ „სამგორწყალმშენის" თანამშრომლები იუწყებიან

**თამარ ალექსის ასულ ხმალაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-X, 8 ს. გამოსვენება 9-X, 5 ს. მარჯანიშვილის ქ. № 25.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ხაილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 06623 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 2